

ქ.თბილისი

03 თებერვალი 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ზ.გაიპარაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გ.ტალახაძე

კომისიის წევრები: ზ.სხირტლაძე, მ.ციციშვილი, მ.მანია, მ.კოკოჩაშვილი, გ.ხომტარია, ვ.დავითაია, ი.მასხარაშვილი, ი.კოშორიძე, ნ.ჯაბუა, გ.იაშვილი, ლ.სილაგაძე, მ.მაცაბერიძე, დ.შველიძე, ქ.მურუსიძე, ი.მირიჯანაშვილი.

სათათბირო ხმის უფლებით: თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი ს.სანაძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი ი.მერკვილიშვილი

დღის წესრიგი: 1921 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის მხატვრულ-არქიტექტურული ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების კონკურსის წესით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2013 წლის 12 ნოემბერს გამოცხადებულ (საკონკურსო განცხადების #1020) კონკურსში მონაწილეთა ნამუშევრების - ესკიზური პროექტების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

საკონკურსო კომისიის წევრების მიერ შესაფასებელი იყო შვიდი კონკურსანტის ესკიზური პროექტი, რომელთა დევიზია: 1. „სამი რგოლი“ 333; 2. „18 21 91“ -1; 3. „კელაპტარი“ - 2014; 4. „მწვანე კვადრეტი“ - 123457; 5. „ვიტორია“ - 7; 6. „არ დავივიწყოთ წარსული“ - #32; 7. „ჩვენი ისტორია“ - #23.

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით საკონკურსო კომისიის წევრებმა ხელი მოაწერეს წერილს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა: ი.მირიჯანაშვილმა, ი.მასხარაშვილმა, მ.კოკოჩაშვილმა, ვ.დავითაიამ, გ.ხომტარიამ, ლ.სილაგაძემ. კომისიის წევრების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ესკიზური პროექტები საჭიროებს დახვეწას, არ შეესაბამება დროს და სრულყოფილად ვერ ასახავს მემორიალის მთავარ იდეას და მიზანს.

კომისიის წევრების მიერ საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული - ესკიზ(ებ)ის ვიზუალური (გამომსახველობითი და ტექსტური ნაწილი) - შეფასების მიხედვით, 1921 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის მხატვრულ-არქიტექტურული ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების კონკურსის წესით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2013 წლის 12 ნოემბერს გამოცხადებულ (საკონკურსო განცხადების #1020) კონკურსში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა.

კომისიის წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ გამოცხადებულ იქნეს ხელახალი კონკურსი.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 1921 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის მხატვრულ-არქიტექტურული ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების კონკურსის წესით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2013 წლის 12 ნოემბერს გამოცხადებული (საკონკურსო განცხადების #1020) კონკურსი დასრულებულ იქნეს უარყოფითი შედეგით და მიენიჭოს სტატუსი - კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით.